განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 29-30 აპრილი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 15.06.2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია (Public Health and Epidemiology) |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი 0919 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 60 ECTS (სასწავლო კომპონენტი) |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა მებონია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ჯიქია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვახტანგ თებიძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში “საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტების პირველი ჩარიცხვა 2008 სასწავლო წელს განხორციელდა.

სადოქტორო პროგრამამ „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ნომერი 94, თარიღი 17/10/2011.). პროგრამა ამჟამად წარდგენილია რეაკრედიტაციაზე.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო 60 ECTS და კვლევითი კომპონენტებისგან; სასწავლო კომპონენტი თავისთავად მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს: (1) სასწავლო სავალდებულო კომპონენტი - 40 ECTS და (2) სასწავლო არჩევითი კომპონენტი - 20 ECTS; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდურ დახელოვნებას, ხელს უწყობს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და უვითარებს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო უნარებს. მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო პროგრამას ჰქვია „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“, მისანიჭებელ კვალიფიკაციას შეადგენს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი“, რომელიც შესაბამისობაშია მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდთან (0919).

კვლევითი კომპონენტებიდან სავალდებულოა ორი სამეცნიერო კვლევითი პროექტი (სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში) და სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა. პირველი სამეცნიერო კვლევითი პროექტი - მოიცავს სადისერტაციო თემის სათაურს, კვლევის ჰიპოთეზას, მიზანს, ამოცანებს, კვლევის დიზაინის მონახაზს, ეთიკური კომისიის დადებით დასკვნას და სავარაუდო შედეგებს; მეორე სამეცნიერო კვლევითი პროექტი წარმოადგენს სადისერტაციო სამეცნიერო ნაშრომის შედეგების აპრობაციას. დოქტორანტურის პროგრამის წარმატებით დასრულება გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომის დაცვას. დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცულია სადოქტორო დისერტაციების რაოდენობა შეადგენს შვიდს. 2018 წლამდე, დოქტორანტთა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან 136 გამოქვეყნებულია Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალებში, 134 - PubMed-ში ინდექსირებულ ჟურნალებში, 62 კი - WoS-ში ინდექსირებულ ჟურნალებში (ცხადია, ადგილი აქვს მონაცემთა გადაფარვას). იმავე 2018 წლამდე Scopus-ის მიერ აღნიშნულია ზემოაღნიშნულ ნაშრომთა 164 ციტირება, ხოლო WoS-ის მიერ 107 ციტირება (PubMed - ციტირებას არ თვლის).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

29-30 აპრილის zoom-ის აპლიკაციის გამოყენებით დისტანციური შეფასება წარიმართა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო და „საზოგადობრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ სადოქტორო პროგრამებზე აკრედიტაციის მიზნით. აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში დილის 10:20 საათიდან დაიწყო სამუშაო

შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (პრორექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, ბაზები) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრები წარიმართა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი მკვლევარების მომზადებას, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებენ: ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირების გზით საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში კვლევების განვითარებას, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში აქტუალური საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებით, რაც საფუძვლად დაედება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის აღწერილობაში და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ჩაბარების წინაპირობაა: დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი, ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ვეტერინარიის მაგისტრის ხარისხი;
პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პასუხობს სადოქტორო პროგრამების მიმართ წაყენებულ საერთაშორისო მოთხოვნებს.
სადოქტორო პროგრამა შედგება სავალდებულო (დარგობრივი სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, კვლევის მეთოდოლოგია, აკადემიური წერა ბიომედიცინაში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სწავლების თანამედროვე მეთოდები) და არჩევითი (სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის, კლინიკური კვლევის დიზაინი, მეცნიერების მენეჯმენტი, გლობალური ჯანდაცვა და საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები) სასწავლო კომპონენტებისგან. ჩვენი აზრით, სადოქტორო პროგრამის სათაურიდან „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" და შინაარსიდან გამომდინარე სასურველი იქნება, სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში ჩართულიყო ან გლობალური ჯანდაცვის ან სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევების სტატისტიკური დამუშავების საკითხები. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ყველა კურსის (ჯამურად) და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ერთობლიობაში განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას: პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტად ჩართულია პროფესორის ასისტენტობა, რაც გულისხმობს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოს/პრაქტიკული დავალების ჩატარებას ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვას "საზავშვო უნივერსიტეტის" მსმენელებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას; სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას; სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სადოქტორო ნაშრომის შესრულება და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში: სემინარები, სოციალური აქტივობა, სამეცნიერო აქტივობები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, დოქტორანტების ჩართულობა. უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას. დოქტორანტები ასრულებენ კვლევაზე დაფუძნებულ სადოქტორო ნაშრომებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტების სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობას და ფინანსურ/საინფორმაციო მხარდაჭერას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის და სწავლების პროცესები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სწავლის და სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება განაპირობებს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავების და მიღწევადობის საფუძველს.

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნების განხორციელებასთან; დოქტორანტების ხელმძღვანელები არიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, რომლებიც არიან დარგის სპეციალისტები, აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით. აღნიშნულზე ასევე მიუთითებს დოქტორანტთა მიერ (ხელმძღვანელებთან თანაავტორობით) საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისა და მათი ციტირების რაოდენობა. პროგრამის ხელმძღვანელი, მონაწილე აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის ადმინისტრაციის დოქტორანტებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, მხარდაჭერას საინფორმაციო რესურსების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და სხვა საკითხებზე. საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისას გათვალისწინებულია სტუდენტთა საჭიროებები და თავისებურებები.

მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასება ხდება ლექციებზე დასწრების, დოქტორანტთა გამოკითხვის გზით. კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ყოველწლიურად ხდება განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდირება თსუ-ს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად. უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. თსუ მედიცინის ფაკულტეტის პროგრამები ფინანსდება არა მხოლოდ თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, არამედ თსუ ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე მოპოვებული საერთაშორისო და ლოკალური (ეროვნული) გრანტებიდან.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და მონიტორინგი რეგულარული პროცესია რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები - როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები. შეფასების პროცესში მონაწილეობენ როგორც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, ისე სხვა დაინტერესებული მხარეები, კერძოდ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სადოქტორო პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიზნით განხორციელდა 2011 წელს, რის შემდეგაც პერიოდულად ხორციელდებოდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- რეკომენდაციები

  - „სასწავლო კურსის „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ - ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება, რაოდენობრივი შეკვეცა და სასწავლო კურსებში „დარგობრივი სემინარი“, „პროფესორის ასისტენტობა“ საბაზისო (საორიენტირო) ლიტერატურის (წყაროების) მითითება“.
  - სასწავლო კურსების - „აკადემიური წერა ბიომედიცინაში“, „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“ და „სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის“ - სილაბუსებში შეფასების კომპონენტ(ებ)ის და შეფასების მეთოდ(ებ)ის სრულყოფილი წარმოდგენა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - პროგრამის განვითარებისათვის სადოქტორო პროგრამის სათაურიდან „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ და შინაარსიდან გამომდინარე სასურველი იქნება, სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში ჩართული იყოს ერთ-ერთი სასწავლო კურსი: ან „გლობალური ჯანდაცვის“ ან „სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევების სტატისტიკური დამუშავების საკითხები“.
  - სადოქტორო საფეხურის შემთხვევებში სასურველია ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სასწავლო კურსებში სასწავლო მასალად მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ავთენტური წყაროების და არა გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე.
  - სასწავლო კურსების - „დარგობრივი სემინარი“ და „პროფესორის ასისტენტობა“ - სილაბუსებში სასურველია შეფასების კომპონენტ(ებ)ის და შეფასების მეთოდ(ებ)ის წარმოდგენა თსუ-ში არსებული შესაბამისი დადგენილების („დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ”) მიხედვით.
  - სასწავლო კურსის სილაბუსში „კვლევის მეთოდოლოგია“ სასურველია განისაზღვროს ჯგუფური თუ ინდივიდუალური აქტივობების შესრულების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

    - ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ბოლო წლების განმავლობაში მონაწილეობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში (მათ შორის ნორვეგიის განათლების საერთაშორისო ცენტრის, აშშ ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის, ევროკავშირის ერაზმუსის დაფინანსებით), რომელთა ფარგლებში შესაძლებელია პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეფასება და გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ამჟამად მიმდინარეობს ოთხი საერთაშორისო პროექტი DIKU-ს (ნორვეგია) დაფინანსებით პროექტი: Georgian-Norwegian Collaborationin Public Health: NIH (აშშ) დაფინანსებით 2 პროექტი: ICREATE: Injury Capacity in Research in Eastern Europe and Initiate – International Collaboration to increase Traumatic Brain Injury Surveillance in Europe და ევროკავშირის დაფინანსებით Erasmus + პროექტი: Doctoral Programmes in Public Health and Social Science (DPPHSS)".

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

    - წარმოდგენილი მონაცემების გაანალიზების და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში გაუმჯობესების მიზნით მომზადებული იქნა სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განახლებული კურსები, კერძოდ, სავალდებულო კურსებს დაემატა „კვლევის მეთოდოლოგია", ხოლო დამატებული არჩევითი კურსებიდან გამოვყოფდით - „სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისთვის".
    - პროგრამაში ცვლილებები შევიდა კვლევითი კომპონენტის კუთხითაც, რომელიც ემყარება უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას. პროგრამის კვლევით კომპონენტში „კოლოქვიუმები" ჩანაცვლდა 1-ლი და მე-2 სამეცნიერო კვლევითი პროექტებით (აღწერა იხილეთ თავში: ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ). შეიცვალა მოთხოვნები დისერტაციის დაცვის უფლების მოსაპოვებლად საჭირო პუბლიკაციების თაობაზე, კერძოდ: (1) დაცვის აუცილებელი პირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალებში, რომლებსაც ISSN კოდი და საერთაშორისო სარედაქციო საბჭო ჰყავთ და რომლებიც საერთაშორისო მასშტაბით ვრცელდება; (2) ამ სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთ საერთაშორისო ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში - დოქტორანტის პირველი ავტორობით.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" ეყრდნობა თსუ მისიას და მიზნებს, რაც გულისხმობს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას; ცოდნის გენერირებასა და გავრცელებას; სამეცნიერო კვლევების განვითარებას; აკადემიური თავისუფლების დაცვას; სტუდენტსა და უნივერსიტეტის პერსონალზე ზრუნვას; თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეულ წევრობას. უნივერსიტეტის ღირებულებები ეფუძნება ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეთიკურ იდეალებს; კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას, ღია, დინამიურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს.<br>თავის მხრივ, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი მკვლევარების მომზადებას, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებენ: ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირების გზით საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში კვლევების განვითარებას, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში აქტუალური საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებით; ღრმა და ყოვლისმომცველი კვლევებისა და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებას საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით, რაც საფუძვლად დაედება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.<br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დასახული მიზნების მისაღწევად გააჩნია ყველა საჭირო წინაპირობა: ა) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამა; ბ) სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები გ) მატერიალური რესურსი; გ) ადამიანური რესურსი; ე) საერთაშორისო თანამშრომლობა.<br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" მიზანი პირდაპირ კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და ასახავს თუ რა კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);<br>○ სასწავლო კომპონენტების სილაბუსები(დანართი 1);<br>○ თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N79/2018 დადგენილება „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 12);<br>○ თსუ მისია (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/792018//)<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; |

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდა პროგრამის განვითარების დარგობრივი კომიტეტის მიერ, სადაც ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე.
სწავლის შედეგების განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი და დადგინდა თუ რა ცოდნასა და უნარებზეა მოთხოვნა დამსაქმებლების მხრიდან. გათვალისწინებული იქნა სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. ამასთან, გათვალისწინებული იყო ფაკულტეტზე მიმდინარე საერთაშორისო პროექტების ფარგლებში მიღებული გამოცდილება, მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა, სხვადასხვა უნივერსიტეტების საზოგადოებრივი ჯანდაცვის/ეპიდემიოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები. კერძოდ, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში გაუმჯობესების მიზნით მომზადებული იქნა სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განახლებული კურსები - სავალდებულო კურსებს დაემატა „კვლევის მეთოდოლოგია", ხოლო დამატებული არჩევით კურსებიდან გამოვყოფდით - „სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისთვის".
უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული სადოქტორო სწავლების აკადემიური განათლების სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებით.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩაშლილია კონკრეტულ შედეგებად და მოიცავს როგორც ცოდნას, დარგისთვის სპეციფიურ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, აგრეთვე ავტონომიურობის და პასუხიმგებლობის ამსახველ შესაბამის შედეგებს. პროგრამის შემადგენელი თითოეული კომპონენტის შინაარსი და მოცულობა, აღნიშნული სწავლების მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოფს კომპონენტით დასახული მიზნის მიღწევას და სათანადო სწავლის შედეგების გამომუშავებას. მართალია, პროგრამის ფარგლებში, ეპიდემიოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი საგნის სწავლება არ ხდება მაგრამ სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდოლოგია" უზრუნველყოფს გაცნობიერებული ცოდნის მიღებას ბიოსამედიცინო დარგის კვლევათა მეთოდოლოგიის შესახებ და ხელს უწყობს საუკეთესო მეთოდების (მეთოდიკების) შერჩევას სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კვლევების განხორციელებისათვის. დამატებით, სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის ოპტიმიზაციის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, სასურველია მომავალში განხილული იყოს „სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევების სტატისტიკური დამუშავების საკითხების" სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში ჩართვის საკითხი.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);<br>○ სასწავლო კომპონენტების სილაბუსები (დანართი 1);<br>○ დარგობრივი კომიტეტის შემადგენლობა და სხდომის ოქმები (დანართი 2);<br>○ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (დანართი 8);<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი 10);<br>○ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №46/201 დადგენილებით)https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/462018/<br>○ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილი (დანართი 9);<br>○ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება (#69/ნ. 10.04. 2019 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“).<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის აღწერილობაში და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სამართლიანია და გამორიცხავს რაიმე სახის დისკრიმინაციას ან არათანაბარ პირობებს. ჩარიცხვის პროცედურა არის სრულიად გამჭირვალე და ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" ჩაბარების წინაპირობაა:

- დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი, ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ვეტერინარიის მაგისტრის ხარისხი;
- უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე;
- გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან (გასაუბრებისათვის წინასწარ შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები).
- ინფორმაციის გავრცელება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ ხდება უნივერსიტეტის პროგრამების კატალოგში, უნივერსიტეტის ვებ-გვერზე, ღია კარის დღეებზე; აპლიკანტთათვის საჭირო ყველა აუცილებელი ინფორმაცია, დამატებით თავსდება სოციალურ ქსელებში, ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები და სხვა. პროგრამებისთვის შექმნილია საინფორმაციო პორტალი, რომლის განახლება ხდება პერიოდულად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის და მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი (https://www.tsu.ge/ge/faculties/medicine/news/);
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (https://www.tsu.ge/ge/study/catalogue/);
- თსუ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება.
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" შედგენილია თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა მაჩვენებელი, მათ შორის: შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება და სხვა. შეიქმნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი კომიტეტი, რომლის შემადგენლობა დამტკიცდა თსუ აკადემიური საბჭოს მიერ. კომიტეტის სხდომა რამდენჯერმე ჩატარდა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინებული იქნა კომიტეტის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.
საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პასუხობს სადოქტორო პროგრამების მიმართ წაყენებულ საერთაშორისო მოთხოვნებს. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამების განხორციელების და დისერტაციის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები, ასევე, მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო 60 ECTS და კვლევითი კომპონენტებისგან; სასწავლო კომპონენტი თავისთავად მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს.

სასწავლო სავალდებულო კომპონენტი - 40 ECTS;

სასწავლო არჩევითი კომპონენტი - 20 ECTS;

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდურ დახელოვნებას, ხელს უწყობს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და უვითარებს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო უნარებს.

<u>სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:</u>

ა) მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი, სავალდებულო);

ბ) პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი, სავალდებულო);

გ) კვლევის მეთოდოლოგია (5 კრედიტი, სავალდებულო);

დ) აკადემიური წერა ბიომედიცინაში (5 კრედიტი სავალდებულო);

ე) პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - 5 კრედიტი (- სავალდებულო);

ვ) სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი - (სავალდებულო);

ზ) სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის - 5 კრედიტი - (არჩევითი)

თ) კლინიკური კვლევის დიზაინი - 10 კრედიტი - (არჩევითი)

ი) მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი - (არჩევითი)

კ) გლობალური ჯანდაცვა - 5 კრედიტი - (არჩევითი)

ლ) საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები-10 კრედიტი - (არჩევითი)

კვლევითი კომპონენტებიდან სავალდებულოა 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი (სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში) და სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა. პირველი სამეცნიერო კვლევითი პროექტი მოიცავს - სადისერტაციო თემის საბოლოო სათაურის, კვლევის ჰიპოთეზის, მიზნის, ამოცანების ჩამოყალიბებას, კვლევის დიზაინის მონახაზს, ეთიკური კომისიის დადებით დასკვნას და სავარაუდო შედეგებს;

მეორე სამეცნიერო კვლევითი პროექტი წარმოადგენს სადისერტაციო სამეცნიერო ნაშრომის შედეგების აპრობაციას.

დოქტორანტურის პროგრამის წარმატებით დასრულება გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომის დაცვას. დაცვა:

- არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
- დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია:

- შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები
- საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება

გამოსაქვეყნებელ პუბლიკაციათა მიმართ მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიური კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ:

- სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული უნდა იყოს სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად (Peer-reviewed) ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით.

ამ სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთ საერთაშორისო ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში - დოქტორანტის პირველი ავტორობით, ამასთანავე, Scopus -ში ინდექსირებულ ჟურნალს Scimago Lab –ის (scimagosjr) მიერ მინიჭებული უნდა ჰქონდეს Q1 ან Q2 კატეგორია (Quartile); Web of Science -ის ბაზის ჟურნალში გამოქვეყნებული (ან გამოსაქვეყნებლად მიღებული) სტატიის შემთხვევაში, ჟურნალს უნდა ქონდეს მინიჭებული Clarivate Analitics-ის იმპაქტ-ფაქტორი.

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი. ფართო სფერო ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა (09), ვიწრო სფერო ჯანდაცვა (091), დეტალური სფერო ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული (0919), სწავლის სფერო 0919.1.1.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები;

- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობები (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №46/2018 დადგენილებით);
- თსუ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება.
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის“ სადოქტორო პროგრამა შედგება შემდეგი სასწავლო კომპონენტებისაგან: დარგობრივი სემინარი (სავალდებულო); პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო); კვლევის მეთოდოლოგია (სავალდებულო); აკადემიური წერა ბიომედიცინაში (სავალდებულო); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (სავალდებულო); სწავლების თანამედროვე მეთოდები (სავალდებულო); სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის (არჩევითი); კლინიკური კვლევის დიზაინი (არჩევითი); მეცნიერების მენეჯმენტი (არჩევითი); გლობალური ჯანდაცვა (არჩევითი); საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები (არჩევითი).

- სავალდებულო სასწავლო კურსი „დარგობრივი სემინარი“ გულისხმობს სამეცნიერო სტატიის შინაარსობრივ და სტრუქტურულ ანალიზს, რაც წარმოდგენილი უნდა იყოს პრეზენტაციის სახით ხელმძღვანელისა და დოქტორანტურის ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის წევრების წინაშე. სემინარზე ივსება შეფასების ოქმი. თუმცა აღსანიშნავია, რომ „დარგობრივი სემინარის“ სილაბუსი არასრულყოფილადაა წარმოდგენილი: არ არის თვალსაჩინო და გასაგები სასწავლო კურსის შინაარსი, არ არის თემატური დაყოფა, არ არის მოცემული შეფასების კრიტერიუმები და გაუგებარია რა არის შეფასების ოქმი და როგორ ივსება. არ არის მოწოდებული ძირითადი ლიტერატურა. ყოველივე ეს იხსნება არგუმენტით, რომ დარგობრივი სემინარის თემატიკა, შეფასების კრიტერიუმები და ლიტერატურა ინდივიდუალურად შეირჩევა. თუმცა ამ ინფორმაციის სისტემატიზებულად არ არსებობა ბუნდოვანს ხდის, თუ როგორ მიიღწევა დასახული შედეგები.
- სავალდებულო სასწავლო კურსის „აკადემიური წერა ბიომედიცინაში“ - წარმატებით გავლა ითვალისწინებს სამეცნიერო სტატიის, საგრანტო, სამეცნიერო მოხსენების პრეზენტაციისა და თეზისის დაწერის სწავლას;
- სავალდებულო სასწავლო კურსის „პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების“ წარმატებით გავლა ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების ათვისებას და მეცადინეობის ჩატარების (ტუტორობის) უნარის განვითარებას;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ (სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები) ითვალისწინებს უმაღლეს სკოლაში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდების ათვისებას, ასევე ეხმარება დოქტორანტს სასწავლო აქტივობების ეფექტურ დაგეგმვა-განხორციელებაში, საკუთრი სასწავლო საქმიანობის გაანალიზებაში, შეფასებასა და გაუმჯობესებაში. აღსანიშნავია, რომ სილაბუსში „სწავლების თანამედროვე მეთოდები“: ძირითადი ლიტერატურის რაოდენობა შეადგენს 17-ს და ზოგიერთი მათგანის (კერძოდ, 5 წყაროს) ასაკი მეტია 10 წელზე, დამხმარე ლიტერატურა წარმოდგენილია 13 წყაროს სახით.
- ბუნდოვანია შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია სილაბუსში „პროფესორის ასისტენტობა“, აქვე გრაფაში „სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა“ მითითებულია - საჭიროებიდან გამომდინარე ლიტერატურა. იგივე - დამხმარე ლირტერატურის შემთხვევაში.
- სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს გაცნობიერებული ცოდნის მიღებას ბიოსამედიცინო დარგის კვლევათა

| |
|---|
| მეთოდოლოგიის თაობაზე და ხელს უწყობს საუკეთესო მეთოდების (მეთოდიკების) შერჩევას სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კვლევების განხორციელებისათვის.<br>• არჩევითი სასწავლო კურსები „გლობალური ჯანდაცვა“, „სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისთვის“, „კლინიკური კვლევის დიზაინი“ და ,,საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ ხელს უწყობს ძირითადი კურსებით მიღებული ცოდნისა და კომპეტენციის გაზრდას და დეტალიზაციას, ასევე, მიღებული შედეგების რაოდენობრივი დამუშავების სტანდარტის ათვისებას.<br>ჩვენი აზრით, სადოქტორო პროგრამის სათაურიდან „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ და შინაარსიდან გამომდინარე სასურველი იქნება, სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში ჩართულიყო ან გლობალური ჯანდაცვის ან სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევების სტატისტიკური დამუშავების საკითხები.<br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის “საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ სასწავლო კომპონენტის ყველა კურსის (ჯამურად) და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ერთობლიობაში განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს.<br>სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სრული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია თსუ და მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკებით.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული სასწავლო კომპონენტების შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან.<br>სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სადოქტორო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ სწავლის შედეგების რუქა;<br>○ საბიბლიოთეკო სერვისის შემოწმება;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br>„სასწავლო კურსის „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ - ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება, რაოდენობრივი შეკვეცა და სასწავლო კურსებში „დარგობრივი სემინარი“, „პროფესორის ასისტენტობა“ საბაზისო (საორიენტირო) ლიტერატურის (წყაროების) მითითება“. |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. პროგრამის განვითარებისათვის, სადოქტორო პროგრამის სათაურიდან „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ და შინაარსიდან გამომდინარე, სასურველი იქნება, სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში ჩართული იყოს ერთ-ერთი სასწავლო კურსი: ან „გლობალური ჯანდაცვის“ ან „სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევების სტატისტიკური დამუშავების საკითხები“.
2. სადოქტორო საფეხურის შემთხვევებში სასურველია ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სასწავლო კურსებში სასწავლო მასალად მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ავთენტური წყაროების და არა გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში “საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტად ჩართულია პროფესორის ასისტენტობა, რაც გულისხმობს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოს/ პრაქტიკული

| |
|---|
| დავალების ჩატარებას ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვას "საზავშვო უნივერსიტეტის" მსმენელებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას; სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას; თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ის ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი, უძღვება სალექციო/პრაქტიკულ/სემინარულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში.<br>სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სადოქტორო ნაშრომის შესრულება და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციეში და სხვა აქტივობებში: სემინარები, სოციალური აქტივობა, სამეცნიერო აქტივობები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, დოქტორანტების ჩართულობა.<br>უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას. დოქტორანტები ასრულებენ კვლევაზე დაფუძნებულ სადოქტორო ნაშრომებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტების სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობას და ფინანსურ/საინფორმაციო მხარდაჭერას. კონკრეტული საკითხების საკვლევად, ფინანსირების უზრუნველყოფა, საჭიროებისას ხდება დამატებითი ფონდების ძიება.<br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" სამეცნიერო უნარების განვითარებას უწყობს ხელს ისეთი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მხარდაჭერა (ღონიძიებები), როგორებიცაა:<br>• კონკურსის საფუძველზე სტუდენტური კვლევების დაფინანსებისათვის (გრანტული წესით) შექმნილ საუნივერსიტეტო ფონდი;<br>• სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;<br>• საერთაშორისო კონფერენციებზე (კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე) იმ დოქტორანტთა და მათ ხელმძღვანელთა მივლინება, რომლებიც გამოდიან ზეპირი ან/და პოსტერული მოხსენებით;<br>• თსუ მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტთა ნაშრომების პუბლიკაციის ხელშეწყობის მიზნით დაარსებულ ინგლისურენოვან on-line ჟურნალის „Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal" -ის ფუნქციონირება (ჟურნალი ინდექსირებულია Google Scholar-ში; მასში ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა);<br>• ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად, Clarivate Analtics-ის იმპაქტ ფაქტორის ან Scopus-ში ინდექსირებული Q1 an Q2 რეიტინგის მქონე (Scimago.com-ის მიხედვით) ჟურნალებში ნაშრომთა გამოქვეყნების საფასურის დაფარვა.<br>შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ დოქტორანტთა (ახალგაზრდა მეცნიერთა) საგრანტო კონკურსში მონაწილეობის ხელშეწყობის ინფორმაციული და მეთოდური მხარდაჭერა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სადოქტორო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ სადოქტორო ნაშრომები; |

- თსუ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება;
- საერთაშორისო პროექტების ჩამონათვალი;
- სტუდენტთა სამეცნიერო პროექტებში, კონფერენციებში, სასწავლო კურსებში ჩართულობის დამადასტურებელი მონაცემები;
- ჟურნალის „Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal" ვებ-გვერდი (https://tcm.tsu.ge/index.php/TCM-GMJ/index)
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს კვლევებზე დაფუძნებული ცოდნის დაგროვება, გადაცემა, გამოყენება და განვითარება.

პროგრამის მიხედვით სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სწავლის ფორმები: ინტერაქტიული მეცადინეობები, როლური თამაში, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სწავლება, მცირე კვლევების ჩატარება, პოსტერი, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, გუნდური მუშაობის მეთოდი/ჯგუფში მუშაობის მეთოდი შემთხვევების შესწავლა და ანალიზი, სიმულაცია. გარდა აღნიშნულისა გამოიყენება ისეთი ტრადიციული მეთოდები, როგორებიცაა: ლექცია-სემინარი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ვიდეო-აუდიო სწავლების მეთოდი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდი, ხელმძღვანელობა/მენტორობა.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" სწავლის და სწავლების პროცესები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სწავლის და სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება განაპირობებს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავების და მიღწევადობის საფუძველს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" სწავლების პროცესში მიმართულია აქტიური სწავლისა და გაცნობიერებული ცოდნის მიღების სტიმულირებაზე. ის სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კომპონენტის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს დოქტორანტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სადოქტორო ნაშრომები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუქა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სილაბუსების გარკვეულ ნაწილში წარმოდგენილია სასწავლო კურსის შეფასების სისტემა, კომპონენტების ხვედრითი წილი, მოცემულია განმარტებები სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. შეფასების კომპონენტების და მათი ხვედრითი წილის შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა.<br>შეფასების ძირითადი კომპონენტებია ლექცია სემინარებზე აქტივობა, სიტყვიერი მოხსნება, შემთხვევის გარჩევა, პროექტების მომზადება და სხვა. შუალედური და საბოლოო შეფასება ძირითადად მოიცავს ტესტურ, წერით ან ზეპირ გამოცდას, ასევე, ზოგ შემთხვევაში, სხვადასხვა პრაქტიკული დავალების შესრულებას და ა. შ.<br>თუმცა, ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების ფორმები საკმარისად არ არის წარმოდგენილი და შეფასების მეთოდები მოითხოვს მეტ განმარტებას.<br>მაგალითად, სასწავლო კურსის „დარგობრივი სემინარი“ სილაბუსში შეფასების სისტემაში მხოლოდ ნახსენებია, რომ სემინარზე ივსება შეფასების ოქმი. არ არის ნაჩვენები სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება, შეფასების კომპონენტები და ხვედრითი წილი. შესაბამისად, არ არის აღწერილი შეფასების მეთოდები და პროცედურები. როგორც ამ, ასევე „პროფესორის ასისტენტობის“ სასწავლო კურსში არ არის წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3 „უმაღლესი |

საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მიხედვით დაშვებული ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, თსუ დადგენილების ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ” მესამე დანართში განმარტებულია სასწავლო კომპონენტები, რომლის თანახმად პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება ამავე დადგენილების მე-10 დანართის ფორმის მიხედვით და ეს არის შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიში. დადგენილების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს დადებითი შესრულება წარმოადგენს დოქტორანტისთვის შესაბამისი კრედიტის მინიჭების საფუძველს. ამავე დადგენილების შესაბამისად, სადოქტორო სემინარზე დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს მოხსენება მეცნიერების აქტუალურ საკითხზე და სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რაც მიმდინარეობს დისკუსიის ფორმატში. თსუ დადგენილების ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ” მიხედვით სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის მიერ. მედიცინის ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული იქნა შეფასებისთვის ე.წ. დარგობრივი სემინარის ოქმი, რომელშიც აღწერილია შეფასების კრიტერიუმები და ფორმები. ორივე სასწავლო კურსის შემთხვევაში შეფასების ფორმები დამტკიცებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის.

დოქტორანტურის თითოეული სტუდენტისათვის კვლევის სპეციფიკასთან დაკავშირებული სრულიად განსხვავებული თემატიკა, რაც განისაზღვრება კონკრეტულ შემთხვევაში დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, განაპირობებს პროფესორის ასისტენტობის და დარგობრივი სემინარის სილაბუსების სრული ფორმალიზების შეუძლებლობას, მათ შორის მაგალითად ლიტერატურის წინასწარ მითითებას.

სასწავლო კურსების „აკადემიური წერა ბიომედიცინაში“ და „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“ სილაბუსებში წარმოდგენილია თითოეული შეფასების კომპონენტის მაქსიმალური ქულა, თუმცა არ არის აღწერილი თითოეულ კომპონენტში შესაბამისი ქულის მინიჭების კრიტერიუმები და მეთოდები. ასევე ინტერვიუს დროს გავარკვიეთ, რომ აღნიშნული სილაბუსების ავტორი არის ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი ზაალ კოკაია, რომელსაც სწავლების მეთოდებისა და შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აქვს შემუშავებული ორივე კურსი. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ აღნიშნული კურსები შეფასებულია, როგორც დოქტორანტურის საუკეთესო კურსები, რომელთა საშუალებით სადოქტორო პროგრამის ყველა სტუდენტს საშუალება აქვს ეზიაროს თანამედროვე ევროპული სტანდარტებით სწავლებას და სწორედ ეს ორი კურსი წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითს მედიცინის ფაკულტეტზე.

იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო კურსის „სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის“ სილაბუსზე, სადაც მხოლოდ გაწერილია სალექციო კომპონენტზე დასწრების ქულის მინიჭების პრინციპი, მაგრამ არ არის აღწერილი დოქტორანტის აქტივობის, ასევე, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები. ინტერვიუს დროს სილაბუსის ავტორებმა აღნიშნეს, რომ შეფასების მეთოდები შესაძლებელია გადაიხედოს მომავალში.

სასწავლო კურსზე „კვლევის მეთოდოლოგია“ ჯგუფური თუ ინდივიდუალური აქტივობების შესრულების ხარისხი თითოეულ პრაქტიკულ მეცადინეობაზე ფასდება

| |
|---|
| მაქსიმუმ 5 ქულით, თუმცა, არ არის განსაზღვრული, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება ეს კომპონენტი. ინტერვიუს დროს სილაბუსის ავტორმა აღნიშნა, რომ შეფასების მეთოდები შესაძლებელია გადაიხედოს მომავალში.<br>აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი შეფასების სისტემა არ არის საკმარისი დოქტორანტებისთვის გამჭვირვალე და დადგენილი პროცედურების მიხედვით შეფასების უზრუნველსაყოფად.<br>სადოქტორო დისერტაციის დაცვა ხდება მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესაბამისად. სადოქტორო დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე არანაკლებ ერთი წევრი, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სასწავლო პროგრამა და სილაბუსები<br>○ შეფასების ფორმები<br>○ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br>○ სასწავლო კურსების - „აკადემიური წერა ბიომედიცინაში“, „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“ და „სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის“ - სილაბუსებში შეფასების კომპონენტ(ებ)ის და შეფასების მეთოდ(ებ)ის სრულყოფილი წარმოდგენა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ სასწავლო კურსების - „დარგობრივი სემინარი“ და „პროფესორის ასისტენტობა“ - სილაბუსებში სასურველია შეფასების კომპონენტ(ებ)ის და შეფასების მეთოდ(ებ)ის წარმოდგენა თსუ-ში არსებული შესაბამისი დადგენილების („დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ”) მიხედვით.<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსში „კვლევის მეთოდოლოგია“ სასურველია განისაზღვროს ჯგუფური თუ ინდივიდუალური აქტივობების შესრულების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის ხელმძღვანელი, მონაწილე აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის ადმინისტრაციის დოქტორანტებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, მხარდაჭერას საინფორმაციო რესურსების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და სხვა საკითხებზე. საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისას გათვალისწინებულია სტუდენტთა საჭიროებები და თავისებურებები. |

დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.
ინტერვიუების დროს დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ დიდი წვლილი შეიტანა მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- თსუ და მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი
- მედიცინის ფაკულტეტის დებულება
- მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დოქტორანტების ხელმძღვანელები არიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, რომლებიც არიან დარგის სპეციალისტები, აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით. აღნიშნულზე ასევე მიუთითებს დოქტორანტთა მიერ (ხელმძღვანელებთან თანაავტორობით) საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისა და მათი ციტირების რაოდენობა.<br>აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობის ვალდებულება. ხელმძღვანელები დოქტორანტებს რეგულარულ კონსულტირებას უწევენ კვლევით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თსუ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება<br>○ აკადემიური პერსონალის ხელშეკრულება<br>○ დოქტორანტების ხელმძღვანელთა CV-ები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამის "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნების განხორციელებასთან; მათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გამოირჩევა არა მხოლოდ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიღწევებით, არამედ აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობით, რასაც

მოწმობს პერსონალის გამოკითხვის შედეგები და მათი ავტობიოგრაფიული მონაცემები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს თანამედროვე ცოდნა, მეცნიერებაში უახლესი მიღწევების შემოქმედებითი და კრიტიკული ანალიზის უნარი, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავების წარმატებული გამოცდილება.

საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრებიდან იწვევს სპეციალისტებს, როგორც სადისერტაციო თემის ხელმძღვანელებს, ამასთანავე, მიზანშეწონილია, მეორე ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) იყოს თსუ-ის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის წარმართვის ცოდნა და გამოცდილება. ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მის განახლებაში, დოქტორანტთა ხელმძღვანელობაში, კონსულტაციებში.

სადოქტორო პროგრამა ემსახურება ფაკულტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება და მაღალი მიმღებლობა სიახლეებისადმი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები (დანართი 1);
- თსუ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დანართი 15)
- დადგენილება No116/2018 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ. დადგენილება No116/2018, 30 აპრილი, 2018; (დანართი 15);
- პროგრამის განმახორციელებელთა, მათ შორის დოქტორანტების ხელმძღვანელთა პერსონალური მონაცემები - CV -ები და პირადი საქმეები; (დანართი 3);
- პროგრამის განმახორციელებელთა (მათ შორის დოქტორანტების ხელმძღვანელთა) და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები (დანართი 4);
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეტოდოლოგია (დანართი 6);
- დადგენილება No64/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ (დანართი 12); (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//).
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ.“ (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1182014k//)(დანართი 12).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და  შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის  შეფასება ხდება ლექციებზე დასწრების, დოქტორანტთა გამოკითხვის გზით. კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ყოველწლიურად ხდება განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდირება თსუ-ს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად.<br>უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. მათთვის ხდება ტრენინგების ორგანიზება, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში (კონგრესებში, სიმპოზიუმებში) მონაწილე |

დოქტორანტებისა და მათი ხელმძღვანელების მივლინება, საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში ნაშრომთა გამოქვეყნების საფასურის დაფარვა და ა. შ. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელის შესაწყობად პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის შექმნილია შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები.
- ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი.
- ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და დოქტორანტებთან ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

| |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური ბაზის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების ერთ–ერთ ინდიკატორია და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას ემსახურება (თსუ–ის წესდება, მუხლი 3) და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს.<br>სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი ფაკულტეტის ინფრასტრუქ-ტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:<br>• სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;<br>• კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;<br>• კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;<br>• თსუ ლაბორატორიები და ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.<br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით (სასწავლო კურსების სილაბუსების შესაბამისად).<br>სასწავლო პროგრამას გააჩნია საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე, სხვა სახის ლიტერატურით.<br>თსუ-ის ბიბლიოთეკა 2010 წლიდან არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი და ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ვერსიებით, ასევე ელექტრონული ბაზებით. ( https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/)<br>(ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები ბაზებში Google Scholar, Web of Science, Scopus Clarivate Analytics Web of Science/Journal Citation Report, Elsevier, JSTOR, EBSCOHost, Springer, HINARI, Cambridge University Journals, GALLICA, Érudit, ALUKA, Internet Archive).<br>სადოქტორო პროგრამის განხორციელების ბაზას წარმოადგენს საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის წამყვანი ინსტიტუცია - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.<br>თსუ–ის მედიცინის ფაკულტეტზე, საჭიროების მიხედვით, სისტემატურად მიმდინარეობს სხვადასხვა სასწავლო კორპუსის სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.<br>უნივერსიტეტს აქვს საერთო საცხოვრებელი, რომელითაც სარგებლობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები. ინფორმაცია საერთო სახოვრებლის შესახებ |

| |
|---|
| ასახულია ვებ-გვერდზე და ბინადრობის მოპოვებისთვის შესაძლებელია ელექტრონული რეგისტრაციის გავლა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სადოქტორო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულება;<br>○ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 23 თებერვლის N35/02-01 ბრძანება "სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ";<br>○ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 26 თებერვლის N40/02-01 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ";<br>○ „სასწავლო პლატფორმა moodle-ის მასწავლებლის სახელმძღვანელო";<br>○ უნივერისტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/<br>○ თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი http://www.sciencelib.ge/<br>○ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 29 მარტის N46/02/01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ"<br>○ თსუ-ის რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის N265/01-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიეროკვლევითი პროდუქციის ღია წვდომის ციფრული არქივის („რეპოზიტორის") ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ"<br>○ თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/<br>○ ელექტრონულ ბაზებთან წვდომა https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/<br>○ ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>○ საფაკულტეტო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ჩამონათვალი/კატალოგი და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თსუ მედიცინის ფაკულტეტის პროგრამები ფინანსდება არა მხოლოდ თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, არამედ თსუ ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე მოპოვებული საერთაშორისო და ლოკალური (ეროვნული) გრანტებიდან.

აღნიშნული რესურსებით ფინანსდება:

- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება, (კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი აუდიტორიები, დოქტორანტთა შეკრების, პროგრამით გათვალისწინებული სემინარებისა და კვლევითი პროექტების „წარდგენის“ ოთახები, ლაბორატორიული ტექნიკის შეძენა და ინსტალაცია).
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პერმანენტულ შევსება პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით;
- სტუდენტური (მათ შორის, დოქტორანტთა) კვლევების კონკურსის საფუძველზე (გრანტული წესით) დაფინანსებისათვის შექმნილი საუნივერსიტეტო ფონდი;
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;
- საერთაშორისო კონფერენციებზე (კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე) იმ დოქტორანტთა და მათ ხელმძღვანელთა მივლინება, რომლებიც გამოდიან ზეპირი ან/და პოსტერული მოხსენებით;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტთა ნაშრომების პუბლიკაციის ხელშეწყობის მიზნით დაარსებულ ინგლისურენოვანი ელექტრონული ჟურნალის „Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal”-ის ფუნქციონირება (ჟურნალი ინდექსირებულია Google Scholar-ში; მასში ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა);

- ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად, Clarivate Analtics-ის იმპაქტ ფაქტორის ან Scopus-ში ინდექსირებული Q1 ან Q2 რეიტინგის მქონე (Scimago.com-ის მიხედვით) ჟურნალებში ნაშრომთა გამოქვეყნების საფასურის დაფარვა.

ფაკულტეტის ბიუჯეტი 2015 წლიდან 2019 წლამდე გაიზარდა 2574240 -დან 3284320-მდე, ანუ 710080 ლარით. ზრდის დინამიკა შეეხო სამეცნიერო მივლინების ხარჯებს, აკადემიური პერსონალის სახელფასო ფონდს (პარალელურად, მოხდა ხელშეკრულებით აყვანილი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შემცირება).

2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, ფაკულტეტის დოქტორანტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მოპოვებული იქნა შიდა საუნივერსიტეტო, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და ERASMUS + გრანტები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფაკულტეტის ბიუჯეტი.
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (როგორც შიდა, ისე გარე) აღწერილია თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილებაში. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; თავი III).<br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობენ როგორც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, ისე სხვა დაინტერესებული მხარეები, კერძოდ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. თსუ-ში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა (მათ შორის შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან) და მათი კმაყოფილების კვლევა თსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობით, სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებით და სხვ. პერიოდულად მიმდინარეობის კითხვარების განახლება. |

| |
|---|
| გამოკითხვის პროცესში ფაკულტეტი იყენებს როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებულ კითხვარებს, ისე დამატებით კითხვარებს, რაც უკავშირდება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის დარგის სპეციფიკას. დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართვის და პროგრამის გაუმჯობესებაზე მაქსიმალური ორიენტაციის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტები და საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოქმედი კომიტეტის საქმიანობაში აკადემიური პერსონალთან ერთად მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებში მონაწილეობა და კომიტეტის საქმიანობაში მათი ჩართულობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მნიშვნელოვანი უკუკავშირის მიღებას, არამედ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის სადოქტორო პროგრამის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობის გაზიარებას და ზრუნვას საზოგადოებრივი ჯანდაცვის განათლებასთან დაკავშირებული პროცესების ხარისხის გაუმჯობესებაზე.<br>ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შეფასების შედეგები განიხილება კომიტეტის სხდომაზე, რაც ხდება კომიტეტის მიერ სხვადასხვა მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად რეკომენდაციების შემუშავების და შემდგომ უკვე პროგრამაში სათანადო ცვლილებების განხორციელების საფუძველი. განვითარების და გაუმჯობესების უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფის მიზნით მონაცემები სისტემატიზირებულია პროგრამების პორტფოლიოს სახით.<br>ყოველწლიურად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება. დაგეგმილია ამ მიმართულებით განსახორციელებელი პროცესების სრულყოფა პერსონალის მართვის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით.<br>მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუდმივ რეჟიმში ხდება კონსულტაციების გაწევა აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალისთვის, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.<br>მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ორგანიზებას უწევს ტრეინინგებსა და სემინარებს და თვითონაც მონაწილეობს პროფილურ ტრენინგებსა და სემინარებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან<br>○ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/1132017_d1.pdf<br>○ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულება (თავიV. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური). https://www.tsu.ge/data/file_db/medicine/New%20Debuleba.pdf<br>○ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 |

| |
|---|
| დადგენილებით) https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/1002019_d1.pdf (დანართი 17).<br>○ გამოკითხვის ინსტრუმენტები და კვლევის შედეგები (დანართი 17);<br>○ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №46/2018 დადგენილებით) (დანართი 12)<br>○ ღონისძიებების და პერსონალის საგანმანათლებლო თემატიკაზე ორგანიზებულ კურსებში, ტრენინგებში, სემინარებში და ვორკშოპებში მონაწილეობების ჩამონათვალი (დანართი 16). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიზნით განხორციელდა 2011 წელს, რის შემდეგაც პერიოდულად ხორციელდებოდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საკრედიტაციოდ ამჟამად წარმოდგენილი განახლებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა 2019 წელს. პროგრამის გარე შეფასების რეკომენდაციების ნაწილი აისახა პროგრამის განვითარების პროცესში, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გარე შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი 17)

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

| |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება სხვადასხვა რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორის გამოყენებით, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ამ პროცესში ჩართული არიან შემდეგი პირები:<br>○ სტუდენტები;<br>○ პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი;<br>○ დამსაქმებლები;<br>○ პროგრამის კურსდამთავრებულები<br>ინტერვიუების დროს თითოეული ამ ჯგუფის წარმომადგენელმა დაადასტურა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში მონაწილეობა. წარმოდგენილი იყო კონკრეტული მაგალითები პროგრამაში მათი თანამონაწილეობით შეტანილი ცვლილებების შესახებ. აკრედიტაციის მზადების პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ გამოკითხვის ინსტრუმენტები (დანართი 17);<br>○ კვლევის შედეგები (დანართი 17). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანა მებონია 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



დავით ჯიქია



ვახტანგ თებიძე